1 იანვარი

ორშაბათი 2024

ყოვლადწმიდა დედა ღმრთისა დდ, [ს], თ

(19.XII) წმმ. ღირსი გიორგი მწერალი და ძმა მისი საბა ხახულელნი

რიცხ 6,22-27; ფს 66; გალ 4,4-7; ლკ 2,16-21

მშვიდობისათვის ლოცვის მსოფლიო დღე

დაარქვეს მას სახელად იესო ლკ 2,21

მარიამი და იოსები ანგელოზის
კარნახით არქმევენ თავიანთ
ყრმას „იესოს“ – ღმერთი იხსნის.
რა სიმშვიდეს გვგვრის შენი ტკბილი სახე-
ლით ლოცვა! გმადლობ, იესო, რამეთუ შენი
წმინდა სახელი, ჯვრის ფასად ამარცხებს ჩვე-
ნს ცდუნებებს. გმადლობ იესო, რამეთუ შენი
სახელით ვერთიანდებით შენს ყოვლადწმი-
და დედასთან, მშვიდობის დედუფალთან!
მაშ, დავიწყოთ ახალი წელი, როგორც
ღვთისმშობლის კალთაში მჯდომარე ყრმებმა!

2 იანვარი

შობის ჟამი [ს], თ

სამშაბათი 2024

წმ. ბასილ დიდი, მცირე აზიაში კესარიის ეპისკოპოსი +379 და წმ. გრიგოლ ნაზიანზელი, კონსტანტინეპოლის ეპისკოპოსი, +390, ეკლესიის მოძღვარნი (მ)

1იო2,22-28; ფს 97; იო 1,19-28

შვილნო, დარჩით მასში 1იო 1,28

ეს ჩემი და შენი დავალება იქნება
დღეს და მთელი ცხოვრების მანძილზე,
რამეთუ იესოშია მამის სიყვარული სისავსე,
მასზეა მისი კურთხევა,
ჩვენ კი, იესოს მიერ ვეზიარებით მას.
გმადლობ, იესო, ზეციერი მამის ძღვენო!

3 იანვარი

შობის ჟამი [ს] თ

ოთხშაბათი: 2024

იესოს უწმიდესი სახელი
(21.XII) წმ. მაკარი მმარხველი, ხახულის აბატი

1იო 2,29–3,6; ფს 97; იო 1,29-34

დავამოწმე რომ ის ღვთის ძეა

იო 1,34

ამას გვიმოწმებს იოანე ნათლისმცემელი, მამისაგან ნათელფენილი, ვინც მზად იყო მისთვის საკუთარი სისხლის დასაღვრელად. მწამს, რომ იესო ღმრთის მხოლოდშობილი ძეა. ნუთუ მეც შემიძლია ამის დამოწმება? რა თქმა უნდა, სწორედ იმ წუთებში, როცა სიყვარულს, მისგან ბოძებულ უანგარო სიყვარულს, ყოველ ადამიანს გავუნაწილებ, თვით მტრებსაც.

4 იანვარი

ხუთშაბათი

2024

შობის ჟამი [ს], თ

1იო 3,7-10; ფს 97; იო 1,35-42

იესოსთან მიიყვანა იები იო 1,42

ანდრიამ, მომავალმა მოციქულმა, სულ რაღაც ერთი დღე დაჰყო მოძღვართან და ერთი სული აქვს თავისი ძმა, სიმონიც მიიყვანოს მასთან. მეც მადლიერი ვარ უფლისა მასთან შეხვედრის და იმ მორწმუნეთა გაცნობისათვის, ვინც შემაყვარა მისი სახელი. მადლობა მღვდელს, ვინც გამაცნო მორწმუნეთა მცირე ჯგუფი, რომლებიც ძმური სიყვარულით ცხოვრობენ აღმდგარი იესოს სახელით!

5 იანვარი

პარასკევი
2024

შობის ჟამი [ს], თ

1იო 3,11-21; ფს 99; იო 1,43-51

შვილნო, ნუ ვიყვარეს სიტყვით, არამედ საქმითა და ჭეშმარიტებით 1იო 3,18

იესო ქრისტე, თავისი განკაცებით და ჩვენს შორის მოსვლით, ყველას შეგვაგონებს, მივბაძოთ მას თავის მიძღვნასა და ქმედით სიყვარულში. ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო დედაჩემი, როდესაც "კათოლიკურ აქციაში" მონაწილეობდა და ღარიბებზე ქველმოქმედებით იყო დაკავებული. კატექისტთან და საკუთარ მშობლებთან შეთანხმებით, თავისი ხელფასის ნაწილს ღარიბებისთვის ზოგავდა. ასე ღვივდებოდა მასში რწმენა, რასაც კვებავდა შენი ხორცშესხმული სიტყვა, ჭეშმარიტების სიტყვა.

6 იანვარი

შაბათი
2024

უფლის გაცხადება, დდ, [ს], თ

ეს 60,1-6; ფს 71; ეფეს 3,2-3ა.5-6; მთ 2,1-12

შენგან გამოვა წინამძღოლი, რომელიც
დამწყემსავს ჩემს ხალხს მთ 2,6

დღევანდელი სახარება გვაუწყებს, რომ იესო ყველა ხალხისთვის მოვიდა, რომლებიც მოგვების სახით არიან წარმოადგენილნი. ზეციერმა მამამ მთელს წუთისოფელს მოუვლინა იესო ქრისტე ვითარცა „თავი“ და „მწყემსი“: იგი თავის თავს, მთელ თავის დროსა და ენერგიას თავის ფარას მიუძღვნის. ყოველი ხალხი ელის მის გულმოწყალებას. ყოველი ხალხი შეძლებს მის თაყვანცემას!

7 ივნისი

კვირა
2024

უფლის ნათლისღება «ბ», დ, [ს], თ

[წმ. რაიმუნდე პენიაფორტელი, ხუცესი, დომენიკელი, +1275 ბარსელონაში]

ეს 55,1-11; საგ.: ეს 12,2.4ბ-6; 1იო 5,1-9; მარ 1,7-11

შობა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში

რომს შემდეგ რომზე უძლიერესი მოდის მარ 1,7

წმინდა წერილში „ძალმოსილი“ მხოლოდ ღმერთია. ხოლო იოანე ამ თვისებას იესოს მიაწერს. ამგვარად მოვა იგი: ძალმოსილი თვინიერებით, თავმდაბლობით, ნათლისმცე-მლის მიერ ხელდასმული, სიწმიდით ძა-ლმოსილი, რომელიც მაღლიდან მოეფინება და მასზე მტრედის სახით დაევანება. გმადლობ იესო, რამეთუ მეც ვხარობ შენი ძალმოსილებით: ის მიცავს და მიხსნის მე.

8 იანვარი

ორშაბათი
2024

1მეფ 1,1-8; ფს 115; მარ 1,14-20

მეისვე მიატოვეს ბადეები და აჰყვნენ მას მარ 1,18

ტბის ნაპირზე გასულმა იესომ „იხილა“ ორი ძმა – სიმონი და ანდრია, რომლებიც ბადეებს ისროდნენ წყალში. „იხილა“ ისინი, ღვთიური სიყვარულით შეიყვარა და ამ სიყვარულით მოუხმო მათ. ამ მოხმობაში ორივემ შეიგრძნო ზეციერი მამის ხმა.

მადლობა, იესო, რამეთუ შენ, ამ წუთისოფლიდან ირჩევ შენიანებს. მადლობა, რამეთუ შენი სიყვარულით აღვსილნი, დიდსულოვნებით მოგიგებენ პასუხს და მზად არიან ყველაფერი მიატოვენ და შენთან ერთად დაიწყონ ცხოვრება.

9 იანვარი

სამშაბათი
2024

რიგითი I კვირა [I], მწ

(27.XII) ღ. სტეფანე ხირსელი, 13 ასურელ მამათაგანი (VIს)

1მეფ 1,9-20; საგ.: 1მეფ 2,1.4-8; მარ 1,21-28

მისი ამბავი მჟისჟე მოედო მთელ მხარეს მარ 1,28

იესო, შენ ახალი ადამიანი ხარ, შენშია ძლიერება მამისა, რომელიც ოდენ სიყვარულია; ამიტომაც საუბრობს ყოველივე შენზე. შენ იქ ხარ, სადაც ევქარისტიას აღვასრულებთ, გვესაუბრები, გვკვებავ, გვიხსნი ბოროტისა და ყოველი ჩაგვრისაგან, რამეთუ მოგენდობით შენ და გმადლობთ, სამარადისოდ კურთხეულო ღმერთო.

10 იანვარი

ოთხშაბათი: 2024

რიგითი I კვირა [I], მწ

1მეფ 3,1-10.19-20; ფს 39; მარ 1,29-39

ყველა შენ ეძებს მარ 1,37

მეც ვეძებ იესოს, თუმცა, ხშირად ამ ძიებისას
მისგან რაიმეს მიღების სურვილი მამოძრავე-
ბს და არა მისი სიყვარული ან მსახურება.
დაგვეხმარე, სულო წმიდაო, რათა იმისათვის
ვეძიოთ ქრისტე, რომ მის კვალს გავყვეთ,
მასთან ერთად ვიღვაწოთ და მისივე ეკლესი-
აში შევასხათ ხორცი მისეულ ჩანაფიქრს.

11 იანვარი

ხუთშაბათი
2024

რიგითი I კვირა [I], მწ

1მეფ 4,1-11; ფს 43; მარ 1,40-45

ვაჟკაცურად დადექით და იბრძოლეთ! 1მეფ 4,9

ასე ამბობდნენ იმ ბრძოლაში ფილისტიმელები, ისრაელის მტრები. მათ მართლაც გაიმარჯვეს, მიუხედავად იმისა, რომ აღთქმის კიდობანი ისრაელის ბანაკში იმყოფებოდა!
ეს კარგი მაგალითია ჩვენთვის: ღმერთი მაშინ როდი გვიცავს და გვიფარავს, როცა რწმენის რაიმე გარეგნულ ნიშანს ვატარებთ, არამედ მაშინ, როცა მის სიტყვას შევისმენთ.

12 იანვარი

პარასკევი
2024

1მეფ 8,4-7.10-22; ფს 88; მარ 2,1-12

სიტყვას აუწყებდა მათ მარ 2,2

სიტყვა! რას ეუბნებოდა იესო თავის გარშემო შეკრებილ მწყურვალე ხალხს, ვის მსახურებაშიც იდგა დღენიადაგ? იესოს პირიდან გამომავალი სიტყვა, რომელიც დღესაც გაისმის ეკლესიის – მისი მისტიური სხეულის – პირით, ზეციერი მამის გულიდან, მისი სიყვარულიდან გადმოღვრილი სიტყვაა, რომელიც სიცოცხლეს გვანიჭებს ჩვენ და ყოველ ადამიანს.

წმ. ილარიონი, პუატიეს ეპისკოპოსი, ეკლესიის მოძღვარი +367;
(31.XII) წმ. ღირსი დედა საბაია, აბადესა (XI)

1მეფ 9,1-4.10გ.17-19; 10,1; ფს 20; მარ 2,13-17

იეზუიტი მ. ჰარვეი ლორიერ კროსბის გახსენება (+2016)

მთელი ხალხი მოდიოდა მასთან და ასწავლიდა მათ მარ 2,13

ადამიანები, ვინც იესოს უსმენდნენ, მხოლოდ უსახელო ბრბოს როდი წარმოადგენდნენ. აქვე იყო მებაჟე ლევიც, რომელიც საბაჟო დახლთან იჯდა და კარგად იცოდა, რომ "ცოდვილი" იყო. მოესმა რა იესოს სიტყვები, გულში სულ სხვაგვარი სიხარული და იმედი ჩაესახა, ხოლო თავისი სახელის გაგონებაზე, მყისვე დაჰყვა მას.

გმადლობ, იესო, რამეთუ შენი სიტყვა ისეთი მხურვალებით აღანთებს გულს, რომ სრულად ათავისუფლებს მას ფულისა და ანგარების მონობიდან.

14 კვირა 2024

იანვარი

რიგითი II კვირადღე, «ბ», [II], მწ

1მეფ 3,3-10.19; ფს 39; 1კორ 6,13-15.17-20; იო 1,35-42

აღიდეთ ღმერთი თქვენი სხეულით 1კორ 6,20

როდესაც ვფიქრობთ, რომ მამის სიტყვამ ჩვენი ხორცი შეისხა და, რომ სული წმიდა ჩვენში მკვიდრობს ნათლობის მიერ, რამხელა მადლიერება, რამხელა პატივისცემა და სიხარული გვეუფლება ჩვენი სხეულისათვის: მასთან ერთად შეგვიძლია უფლის განდიდება, ძმებში მისი მსახურება და მასთან ერთად საუკუნოდ განვჭვრეტთ მის სახეს.

15 ორშაბათი 2024

იანვარი

რიგითი ჟამის II კვირა [II], მწ

1მეფ 15,16-23; ფს 49; მარ 2,18-22

ახალი ღვინო- ახალ ტიკებში მარ 2,22

იესო პასუხს სცემს იოანეს მოწაფეების და ფარისევლების კითხვას: რატომ მარხულობენ ისინი, ხოლო მისი მოწაფეები კი არა? ცდილობს თვალები და გული აუხილოს მათ: მასთან ერთად ახალ ჟამში ვიმყოფებით; აწ დასრულდა ლოდინის ჟამი და დადგა მესიის ჟამი. იესოსთან ერთად სიცოცხლემ სრულიად იცვალა სახე და ლოცვაც განახლდა! სწორედ ასეა: „ახალი ღვინო ახალ ტიკებში“: ღმრთისადმი სიყვარულს იესოს მიმართ სიხარულის ზეიმში გადმოვცემთ!

16 იანვარი

სამშაბათი
2024

1მეფ 16,1-13; ფს 88; მარ 2,23-28

კაცის ძე შაბათის უფალიცაა მარ 2,28

იესო უწონებს დავით მეფეს, რომელსაც მღვდელმა აბიათარმა უფლება მისცა ეჭამა მხოლოდ მღვდელთათვის განკუთვნილი წმინდა საწინაშეო პური. იესო, დავითის ძე, ასევე აძლევს თავის მიმდევრებს იმის უფლებას, რომ შაბათ დღეს მოწყვიტონ ხორბალი მინდვრებში. ამიერიდან, თავად ის არის ღვთის შაბათი, მისი უშრეტი სიხარული; თავად მამის საყვარელი ძეა, ვინც ჩვენი ქმედებების მიზეზი ხდება.

17 ოთხშაბათი: 2024

იანვარი

რიგითი ჟამის II კვირა [II]

წმ. ანტონ დიდი, აბატი, განდეგილი ეგვიპტეში +356 (მ), თ (4.I) წმ. ღირსნი ევაგრე მღვიმელი, ილია დიაკონი და სხვანი, მონაზონნი, VIს

1მეფ 17,32-33.37.40-51; ფს 143; მარ 3,1-6

საბაოთ უფლის სახელით მოვდივარ შენთან 1მეფ 17,45

რამხელა მაგალითს გვაძლევს ჭაბუკი დავითი, ვისაც გიგანტ გოლიათთან შერკინების გამბედაობა ჰყოფნის, ამ ძალას მხოლოდ თავისი ღმერთის იმედი აძლევს! რამხელა ერთგულებას გვიცხადებს უფალი იმ ადამიანის მფარველობით, ვინც სიცოცხლესაც კი საფრთხეში აგდებს მასზე მინდობილი!

18 ხუთშაბათი 2024

იანვარი

1მეფ 18,6-9;19,1-7; ფს 55; მარ 3,7-12

ქრისტიანთა ერთობისათვის ლოცვის რვადღეულის დასაწყისი

დიდძალი ხალხი მივიდა მასთან მარ 3,8

იესო, შენ არ გიძებნია ბრბო. შენ მამასთან იყავი, მას უძღვნიდი შენს თავს, ის გასცემდა ლოცვა-კურთხევას იმ ხალხზე, შენთან მოსვლას რომ ლამობდნენ. შენს გზაზე დამდგარი იმ ერთიანობის ძალას გრძნობს, რაც შენმიერი სიყვარულით გამოიხატება.

19 პარასკევი 2024

იანვარი

1მეფ 24,3-21; ფს 56; მარ 3,13-19

ქრისტიანთა ერთობისათვის ლოცვის რვადღეული
ნათლისღება საქართველოს მართლ. ეკლესიაში

მათგან თორმეტნი ამოირჩია... რათა
ეყოფნენ საქადაგებლად მარ 3,14

მოციქულები, იმის გამო, რომ იესოს ედგნენ
გვერდში, კეთილი ამბის საუწყებლად წა-
რიგზავნენ: ღმერთს უყვარს ადამიანები და
თავისი საყვარელი ძის მიერ იხსნის მათ.
დღესაც გზავნის იესო თავის მოციქულებს,
ეპისკოპოსებს: მათი სიტყვის მოსმენით მივა-
ბიჯებთ უფლის გზებზე.

20 იანვარი

შაბათი

2024

რიგითი ჟამის II კვირა [II], მწ

წმ. ფაბიანე, პაპი და წამებული რომში +250
წმ. სებასტიანე, წამებული რომში +304

2მეფ 1,1-4.11-12.19.23-27; ფს 79; მარ 3,20-21

ქრისტიანთა ერთობისათვის ლოცვის რვადღეული

ამბობდნენ: შეშლილია. მარკ 3,21

იესოს ახლობლებს არ ესმოდათ მისი, მათ აკლდათ ის ნათელი სხივი, რაც ღვთის ძეს შეაცნობინებდა, არ ესმოდათ მისი პირიდან გამომავალი ღვთის სიტყვა, სამაგიეროდ, მას ხვდებოდნენ „პატარები“, გულით მდაბალნი და თვინიერნი. მამაო, შენ ჰკრებ და “ერთ” სხეულად აერთიანებ ყველა მათგანს, ვინც გულით იღებს იესოს!

21 ივნისი
კვირა 2024

რიგითი III კვირადღე, «ბ», [III], მწ
ღვთის სიტყვის კვირადღე

[(8.I) წმ. აბო თბილელი, წამებული +786 (მ), წ
წმ. აგნესა ქალწ. წამებული რომში, +304 (მ), წ]

იონ 3,1-5.10; ფს 24; 1კორ 7,29-31; მარ 1,14-20

ქრისტიანთა ერთობისათვის ლოცვის რვადღეული

მჟისკე მოიხმო ისინი მარ 1,20

იესო მზად არის დაიწყოს თავისი მსახურება: ახაროს და განავრცოს წუთისოფელში ზეციური სასუფეველი. ამას მარტო ვერ გაუმკლავდებოდა, და ვინაიდან ძე იყო ღმრთისა, – ერთი ჭეშმარიტი და სიყვარულის ღმრთისა, – ირჩევს მოციქულებს, რათა მათთან ზიარებაში იცხოვროს ღმრთაებრივი ცხოვრებით, რომელიც ერთიანობაა!

22 ორშაბათი 2024

იანვარი

რიგითი ჟამის III კვირა [III] მწ

წმ.ბიკენტი,მოწამე დიაკვანი, +303 ვალენსიაში (ესპანეთი)

2მეფ 5,1-7.10; ფს 88; მარ 3,22-30

ქრისტიანთა ერთობისათვის ლოცვის რვადღეული

წარემართებოდა დავითს და აღემატებოდა 2მეფ 5,10

„... და იყო უფალი მასთან“: აჰა, საიდუმლო! ჩვენ ქრისტიანთა ერთიანობისთვის ვლოცულობთ: როდის გაცხადდება ეს სასწაული? ღმერთით მოვიპოვებთ პატარ-პატარა, ყოველდღიურ გამარჯვებას ჩვენს ეგოიზმზე, რაც გულს გვიხშობს მოძმეთა მიმართ. შევეცდებით, მუდამ გულში გვყავდეს იესო და ერთმანეთის მიმართ პატიებაში გავიწაფოთ.

23 იანვარი

სამშაბათი
2024

რიგითი ჟამის III კვირა [III] მწ

ყოვლადწმიდა მარიამისა და წმ. იოსების ქორწინება

2მეფ 6,12-15.17-19; ფს 23; მარ 3,31-35

ქრისტიანთა ერთობისათვის ლოცვის რვადღეული

ისაა ჩემი ძმაკ, დაკ და დედაკ მარ 3,35

თუკი თავად იესო, თავის და-ძმებად და
დედად თვლის ყველას, ვინც ღმერთის ნებას
ასრულებს, განა მეც ასევე არ უნდა მოვიქცე?
როგორ შემიძლია უგულებელვყო მათთან
ზიარება, ვინ ირწმუნა და შეიყვარა უფალი,
თუნდაც განსხვავებული გზით? გმადლობ,
იესო, შენი მორწმუნე მრავალი და-ძმისთვის:
გაგვიძეხ შენკენ სავალ გზებზე და ყველანი
მჭიდროდ დავუახლოვდებით ერთმანეთს.

24 იანვარი

ოთხშაბათი: 2024

რიგითი ჟამის III კვირა [III]

წმ. ფრანცისკე დე სალი, ჟენევის ეპისკოპოსი, ეკლესიის მოძღვარი, +1622 ლიონში, (მ), თ

2მეფ 7,4-17; ფს 88; მარ 4,1-20

ქრისტიანთა ერთობისათვის ლოცვის რვადღეული

ისმინეთ, აჰა, ელმოჰფიდა მთესველი თესვად მარ 4,3

იესო ცდილობს ჩემს გულში ჩააგდოს თავისი
სიტყვის თესლი. მინდა სულგანაბული
ვუსმენდე მას: მისი სიტყვა ახალი
სიცოცხლის – ღმერთის სიცოცხლის წყაროა.
გავუფრთხილდები, ლოცვად ვაქცევ და სულს
ვშთაბერავ ამ სიტყვას.
გმადლობ, იესო, რამეთუ შენი სიბრძნის და
სიცოცხლის მომნიჭბელი სიტყვა, შენთან და
ერთმანეთს შორის ერთობაში გვამყოფებს.

25 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ 2024

წმ. პავლე მოციქულის მოქცევა, დ, [ს], თ

საქმ 22,3-16 ან, საქმ 9,1-22; ფს 116; მარ 16,15-18

ქრისტიანთა ერთობისათვის ლოცვის რვადღეულის დასასრული
არალში შუასერის (მეშურნეთის) ეკლესიის დღესასწაული

ჩემი სახელით ეშმაკებს განდევნიან მარ 16,17

როდესაც წმინდა პავლემ ქრისტე ირწმუნა, იმდენად შეიცვალა მისი ცხოვრება, რომ ეს სიტყვები აღმოხდა: „მე უკვე აღარ ვცოცხლობ, არამედ ქრისტე ცოცხლობს ჩემში". წრფელი გულით და სიმტკიცით აუწყებდა ქრისტეს სახელს და საკუთარი მაგალითით მრავალს შეეწეოდა, რათა მასთან ერთობაში ეცხოვრათ, განხეთქილების, ეჭვიანობის, შურის, ამაოებისა და უწმინდურების სულის დაძლევით.

მოდი, სულო წმიდაო: შეგვეწიე, რომ ქრისტესმიერი სულით ვიცხოვროთ, გაგვაჩნდეს ერთი გული და ერთი სული იმისათვის, რომ ირწმუნოს წუთისოფელმა.

26 იანვარი

პარასკევი
2024

რიგითი ჟამის III კვირა [III]

წმ. ტიმოთე და წმ. ტიტე, ეპისკოპოსნი, წმ. პავლეს თანამოღვაწენი, I ს. (მ), [ს], თ

2ტიმ 1,1-8, ან, ტიტ 1,1-5; ფს 95; ლკ 10,1-9 ან, მარ 4,26-34

აჰა, მე მიგავლენთ როგორც კრავებს ლკ 10,3

იესო გზავნის თავის მოწაფეებს, რათა ადამიანები მის სამეფოში მოიხმონ, ანუ იქ, სადაც ერთმანეთი ძმური სიყვარულით უყვართ. გზავნის მათ, უპოვართა და თვინიერთ, ხურჯინის გარეშე, მხოლოდ მის სახელზე მოიმედეთ, განსაცდელის და მუქარის წუთებშიც. გზავნის მათ, რათა მზაობის სულით ემსახურონ და იზრუნონ სნეულებზე და უძლურებზე. ყველა წმიდანი გვიმოწმებს ამას და ჩვენც ვცდილობთ ვიაროთ ამ გზით.

27 შაბათი 2024

იანვარი

(14.I) წმ. ნინო მოციქულთა სწორი,
ქართველთა განმანათლებელი, დდ, [ს], თ

წმ. ანჯელა მერიჩი, ქალწული +1540 ბრეშაში (იტალია)

დაბ 12,1-7; ფს 95; 1კორ 1,26-31; მარ 16,15-20

საქართველოს კათოლიკე ეკლესიის მფარველი
წმიდა ნინოს დების კონგრეგაციის მფარველი

არ ეადარდებს, რომ ვიღუპებით? მარ 4,38

ამ სიტყვებით მიმართავენ მოციქულები იესოს, ვინც მშვიდ ძილს მისცემია იმ წუთებში, როცა ტბაზე ამოვარდნილი ქარიშხალი ნავს წყლით ავსებს; და ეკითხება იესო მათ: „სად არის თქვენი რწმენა?“. როდესაც ჩვენს თავს მძიმე, დამთრგუნველი ამბები ხდება, ერთადერთი, ეს უნდა მოვიმოქმედოთ: ისე მივუახლოვდეთ ქრისტეს, რომ ლამის ჩავეჭიდოთ მას ან მის გვერდით იმედიანად გვეძინოს. იგი უფალია ჩვენი!

28 ივნისი

კვირა 2024

რიგითი უამის IV კვირადღე, «ბ», [IV], მწ

[წმ. თომა აკვინელი, ხუცესი, დომინიკელი, ეკლესიის მოძღვარი, +1274(მ), თ;
(15.I)წმ. სალომე უჯარმელი და წმ. პეროუავრა სივნიელი, IVს. / წმ. არჩილ მეფე, წამებული, +774]

ახალი მოძღვრება ხელმწიფებით

მარ 1,26

დღეს, მახარობელი, იესოს სწავლებაზე საუბრის ნაცვლად, მის ავტორიტეტზე გვესაუბრება. იესო მამის ძლიერი სიყვარულით ქადაგებს და ასე აჩვენებს მის შვილთა სიყვარულს. ამიტომაც, მის დანახვაზე გარეთ გამოდიან დემონები და ისიც განაშორებს მათ ადამიანებს, რომლებიც ღვთის სამკვიდროებად არიან შექმნილნი. გმადლობ, იესო, რამეთუ ურყევი რწმენით გვიზიდავ შენსკენ.

29 იანვარი

ორშაბათი
2024

2მეფ 15,13-14.30;16,5-13; ფს 3; მარ 5,1-20

შეეკედრა, რომ თავისთან დაეტოვებინა მარ 5,18

იესო, შენ შეიყვარე და დაიხსენ ეშმაკით
შეპყრობილი საწყალი კაცი. ამიერიდან,
აღარ სურს შენთან განშორება... შენმა ჯვარ-
მა ბევრი რამ აღასრულა ჩვენს ცხოვრებაში:
სიკვდილის ხელებს გამოგვტაცე, საუკუნო
სიკვდილისა და ეგოიზმის ხელებს. ჰქმენ,
რათა დავრჩეთ შენთან ერთობაში! შენ ხარ
სიცოცხლე, ჭეშმარიტი სიცოცხლე!

30 იანვარი

სამშაბათი
2024

2მეფ 18,9-10.14.21ა.24-25.30-19,3; ფს 85; მარ 5,21-43

შეეხო მის მოსასხამს მარ 5,27

საბრალო ქალი რწმენით შეეხო იესოს სამოსს და განიკურნა თავისი სნებისგან, წლების მანძილზე რომ ტანჯავდა. მაშინ, როდესაც აღსარების საიდუმლოს მივეახლებით და ევქარისტიას ვეზიარებით, გაცილებით მეტს ვეხებით, ვიდრე იესოს სამოსია! მისი სხეული ხორცად იქცევა ჩვენთვის. რამხელა განკურნებას ვიღებთ!

31 ოთხშაბათი: 2024

იანვარი

რიგითი ჟამის IV კვირა [IV]

წმ. იოანე ბოსკო, ხუცესი, +1888 ტურინში, სალელ-
თა კონგრეგაციის დამაარსებელი (მ) თ
(18.I) წმ. ღირსი ეფრემ მცირე, +1101

2მეფ 24,2.9-17; ფს 31; მარ 6,1-6

სალელთა კონგრეგაციის დღესასწაული

ადიოდა ქალაქსა სოფლებსა და ასწავლიდა მათ მარ 6,6

თავისი სიტყვით და თავისი ცხოვრებით
გვიქადაგებს იესო. ნათქვამ სიტყვებს თავი-
სივე სიყვარულის ნიშნებით ადასტურებდა.
თავის საქმეებს დღესაც მათი მეშვეობით
განაგრძობს, ვინც ირწმუნა და შეიყვარა იგი.
დღეს იესოს სწავლებას წმინდა იოანე ბო-
სკოს შეგონებებით ვეზიარებით. შეგონებები,
რომლებიც ახალგაზრდებს სულიერად ჯან-
საღ, ლაღ და წმინდა გარემოში ზრდიან!